



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #15

ივნისი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

- 1 "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონი ძალაში შევიდა
- 2 ტრენინგები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში
- 3 კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის კომიტეტის სხდომა
- 4 საჯარო მმართველობის რეფორმის სხდომა
- 4 ეორქშოპი ინოვაციური პოლიტიკა
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში
- 5 მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოლდოველ კოლეგას უმასპინძლა
- 5 მონაცემთა გაცვლის სააგენტო: საერთაშორისო ვიზიტები

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი ძალაში შევიდა



2008 წლის აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბური კიბერ-შეტევების შედეგად, სამთავრობო უწყებებისა და კერძო სექტორის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდმა გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების საკითხი.

დღესდღეობით, საქართველოს მთავრობა ინფორმაციულ და კიბერ-უსაფრთხოებას განიხილავს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად, განსაკუთრებით ინფორმაციულ

ტექნოლოგიებზე მზარდი დამოკიდებულების პირობებში. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არსებული კონცეფცია კიბერ-უსაფრთხოებას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს.

ამ პოლიტიკის საჭიროებებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ინფორმაციული და კიბერ-უსაფრთხოების მარეგულირებელი წესების დაზუსტება და რეგლამენტირება. შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება დაევალა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, რომელსაც ევალება ინფორმაციული უსაფრთხოების განხორციელება პოლიტიკისა და სტანდარტების დადგენის, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის (CERT) მუშაობის გზით.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი სააგენტოს მიერ მუშავდებოდა უცხოელი ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, ხოლო მის მიღებას წინ უძღოდა ხანგრძლივი განხილვები დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან. კანონი მესამე მოსმენით მიღებულ იქნა 2012 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ივლისს (გაგრძელება გვ. 2).

 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

 იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

 MY.GOV.GE
სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი
www.my.gov.ge

 სამხალალო რადნატი
www.cra.gov.ge

 საბარო რადნატი პრინციპალი სააგენტო
www.napr.gov.ge

 საქართველოს მტრულში არქივი
www.archives.gov.ge

 საბარო რადნატი
www.nbe.gov.ge

 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.notary.ge

 საქართველოს საკანონმდებლო მაცნა
www.matse.gov.ge

 ელექტრონული აუქციონი
www.eauction.ge

 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა გაგრძელდება კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც: კანონიდან გამომდინარე, მისაღებია რიგი ნორმატიული აქტებისა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის, აუდიტის, კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფისა და მრავალ სხვა საკითხზე.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ქვაკუთხედს წარმოადგენს „კრიტიკული საინფორმაციო სისტემისა“ ცნება, რომელიც გამოიყენება კანონიდან გამომდინარე ვალდებულებათა მატარებელი სუბიექტების აღსანიშნავად. კერძოდ, საუბარია კრიტიკული ინფრასტრუქტურის სახელმწიფო და კერძო სუბიექტებზე, რომელთა განუწყვეტელი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის კონკრეტული სუბიექტების ნუსხა დგინდება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, რომლის პროექტსაც უშიშროების ეროვნული საბჭო შეიმუშავებს, ხოლო ნუსხის შედგენისას, გამოყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა ინფორმაციული სისტემის მწყობრიდან გამოსვლის სავარაუდო შედეგების სიმძიმე და მასშტაბი, ეკონომიკური ზარალი, მომსახურების აუცილებლობა, მომხმარებელთა რაოდენობა და სხვა.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისათვის ადგენს მთელ რიგ ვალდებულებებს. უპირველეს ყოვლისა, ყოველ სუბიექტს უნდა გააჩნდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შიდასამსახურებრივი პოლიტიკა, რომელიც ISO 27000 საერთაშორისო სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ამგვარად მიღებული შიდასამსახურებრივი წესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, რომლის ვალდებულებებშიც ასევე შედის უწყებაში ან ორგანიზაციაში არსებული ინფორმაციული აქტივების აღწერა და აქტივების კატეგორიებად დალაგება მათი კრიტიკულობის მიხედვით.

გარდა ამისა, კანონი ასევე ადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სხვა მექანიზმებსაც, რომელიც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის უფლებას (და არა ვალდებულებას) წარმოადგენს. ესენია ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი, ინფორმაციული სისტემის შეღწევალობის (მდგრადობის) ტესტირება და კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა. კანონი ასევე არეგულირებს კიბერ–უსაფრთხოების საკითხებს, რაშიც ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვის მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ეროვნულ ჯგუფს (CERT.GOV.GE). ეროვნული CERT-ის მოვალეობებს არა მხოლოდ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა, არამედ საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებაც და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაც წარმოადგენს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საჯარო სექტორისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგები ჩაატარა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა 25-დან 29 ივნისამდე საჯარო სექტორის უწყებებისთვის ტრენინგების 2 ციკლი ჩაატარეს. ტრენინგები 2ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, დანერგვა და აუდიტი ორგანიზაციაში 2) კომპიუტერულ ინციდენტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება.

პირველი კურსის მიზანია ორგანიზაციის პერსონალს გამოუმუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევები, განუმარტოს ინფორმაციული უსაფრთხოების დონეები, გააცნოს

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პრინციპები და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემები. ეს კურსი გამიზნულია ორგანიზაციის ზედა და საშუალო მენეჯმენტისთვის და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისთვის. კურსი მნიშვნელოვანია ყველა ორგანიზაციისთვის, რომელიც თვლის რომ ინფორმაცია წარმოადგენს მის ძირითად აქტივს და ორგანიზაციაც შესაბამის ქმედებებს უნდა ახორციელებდეს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მთლიანობა და უტყუარობა (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

ტრენინგის მეორე კურსი - კომპიუტერულ ინციდენტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება კი ორგანიზაციის პერსონალს მისცემს საბაზისო ცოდნას ინფორმაციული და კომპიუტერული ინციდენტების შესახებ, რათა მათ შეძლონ მათი იდენტიფიცირება, პირველადი კლასიფიცირება, სწრაფი რეაგირების გატარება და CERT.GOV.GE-სთვის ინციდენტის სრულყოფილად მოწოდება. ტრენინგის დროს მსმენელები ასევე გაეცნობიან CERT-ების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ქსელის მონიტორინგის ინსტრუმენტებს. ტრენინგის მიზონობრივ აუდიტორიას წარმოადგეს ორგანიზაციების ი.ტ. ან/და რისკების მართვის სექტორში დასაქმებული შუა და მაღალი დონის მენეჯერები.

„1 ივლისიდან ძალაში შევიდა კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სექტორის ორგანიზაციებს მივაწოდოთ ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შესახებ, რათა მათ გაუადვილდეთ ახალ მოთხოვნებთან შესაბამისი ადაპტაცია და წარმატებით მოახდინონ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე რეაგირება. ეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ კარგად გამართული სტრუქტურა, რომელიც ამავე ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი გარანტია. ტრენინგების ციკლიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ტრენინგების ციკლის ჩატარებას მონაცემთა გაცვლის სააგენტო მომავალშიც გააგრძელებს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ასეთი მასშტაბის ტრენინგებს გაუკეთეთ ორგანიზება და, მინდა აღვნიშნო, რომ დაინტერესება ძალიან დიდი იყო. სამომავლოდ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ტრენინგების თემატური არეალის გაფართოება და მასში საჯარო სექტორის გარდა ბიზნეს ორგანიზაციების ჩართვაც.“
- **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

ტრენინგები ჩატარეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კვალიფიცირებულმა ტრენერებმა, რომლებიც ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქვთ ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ შესაბამისი სერთიფიკატები გადასცა.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის კომიტეტის სხდომა



2012 წლის 4-8 ივნისს, ქ. სტრასბურგში ჩატარდა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის კომიტეტის სხდომა და საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად იმართება ევროპის საბჭოს ეგიდით. კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა, რომელიც ამჟამად კოორდინაციას უწევს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის კიბერდანაშაულის ერთობლივ პროექტს საქართველოში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა.

კომიტეტის სხდომის ძირითადი თემატიკა, ტრადიციულად, მოიცავს 2001 წლის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხებს. ამ მხრივ, საქართველოსათვის კომიტეტის ეს სხდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც, კომიტეტის სხდომის მიმდინარეობისას, ევროპის საბჭოს სამდივნოს ოფიციალურად გადაეცა საქართველოს კონვენციისადმი მიერთების სიგელი. შესაბამისად, კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევა 2012 წლის 1 ოქტომბერს, რის შედეგადაც ის გახდება კონვენციის სრულყოფილი მონაწილე.

კონვენციისადმი მიერთების პროცესის მომზადებისა და საქართველოში კიბერდანაშაულის წინააღმდეგ პროექტის წარმატებული განხორციელების შესახებ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა მოხსენება კონფერენციის საბოლოო სესიაზე წარმოადგინა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო კვლავაც აგრძელებს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ პროექტის კოორდინაციას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია არაერთი ღონისძიება თბილისში და ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტის ფარგლებში საჯარო მმართველობის რეფორმის მორიგი სხდომა გაიმართა

2012 წლის 14 ივნისს, ქ. თბილისში, სასტუმროში „მერიოტ თბილისი“ გაიმართა ევროკავშირსა და საქართველოს შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მოქმედი საჯარო მმართველობის რეფორმის პანელის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ევროკავშირის, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებიც (აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა) და ევროპელი ექსპერტები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო მმართველობის რეფორმის პანელის საქმიანობაში საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთადად არის ჩართული და ამ პანელის მუშაობის სამოქმედო გეგმაში ასახულ სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს. ერთ-ერთ ამგვარ ღონისძიებას წარმოადგენდა თბილისში ა/წ 23 აპრილს გამართული სემინარი მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესახებ, რომლის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებაც მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დეტალურად მოახსენა საჯარო მმართველობის რეფორმის პანელის სხდომის მონაწილეებს.

სხდომის დროს, სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დისკუსიაში, რომელიც საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვას განიხილავდა.

როგორც დაგეგმილი ღონისძიებები, ისე საჯარო სამსახურის რეფორმის პანელის სხდომა წარმოადგენს საქართველოსათვის მისი მიღწევებისა და წარმატებული რეფორმების დემონსტრირების კარგ საშუალებას, და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ურთიერთობათა გაღრმავებაში ევროკავშირთან. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ასევე ხედავს ამ ღონისძიებათა პოტენციალს იმაში, რათა მოახდინოს საკუთარი მანდატისა და პრიორიტეტების პრეზენტაცია ქართველი და ევროპელი კოლეგების ფართო წრისათვის.

ვორქშოპი ინოვაციური პოლიტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში



3-10 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პროექტების მართვის სპეციალისტმა პაატა სირბილაძემ მონაწილეობა მიიღო ფინეთში გამართულ ვორქშოპში, რომლის თემაც იყო ინოვაციური პოლიტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

ვორქშოპში მონაწილეობდნენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელი მენეჯერები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ამ სფეროში თანამშრომლობენ მსოფლიო ბანკთან (საქართველო, მოლდოვა, ტუნისი, მაროკო, სომხეთი, ეგვიპტე, ლიბანი - სულ 18 მონაწილე), აგრეთვე მსოფლიო ბანკის ექსპერტები, ფინეთის აალტოსა და ტამპერეს უნივერსიტეტების პროფესორები. ნოკიას, როვიოს და ტექნოლოგიების სფეროში სხვა წამყვანი ფინური კომპანიების მაღალი რანგის მენეჯერები. პრეზენტატორებს შორის იყვნენ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ჰელსინკის და ქალაქ ტამპერეს მერიის მაღალჩინოსნები, რამდენიმე ვენჩორული ფონდის დირექტორი და სტუდენტური პროექტების ხელმძღვანელები.

ტრენინგის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციური გარემოს (ეკოსისტემის) შექმნა,

თანამშრომლობა კერძო, სახლმწიფო სექტორს და კვლევით ინსტიტუტებს შორის. განხილული იქნა ფინეთში მიმდინარე ინოვაციური პროექტები.

ქალაქ ტამპერეში არსებულ „NEW FACTORY“-ში გამართული პრეზენტაციებზე წარმოდგენილი იქნა ქ. ტამპერეს მერიის, უნივერსიტეტების და ნოკიას ერთობლივი პროექტები - „DEMOLA“ და „PROTOMA“. ეს პროექტების მიზნად ისახავს, ერთი მხრივ ინოვაციური ახალი პროექტების ხელშეწყობას, ხოლო მეორე მხრივ სტიდენტების ჩართვას ინოვაციურ პროექტებში (გაგრძელება გვ. 5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4)

ვორქშოპზე წარმოდგენილი პრეზენტაციები ძალიან მრავალფეროვანი იყო და ფაქტიურად ინოვაციური გარემოს ყველა ასპექტს ფარავდა.

ვორქშოპის მონაწილეებს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა დეტალურად გააცნო მოქალაქის პორტალის MY.GOV.GE დანიშნულება და სპეციფიკა.

„ვორქშოპმა თავი მოუყარა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ მენეჯერებს. ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და ტექნოლოგიური კომპანიების მაღალი რანგის წარმომადგენლებს. ამდენად, ჩვენი პროექტების განვითარების ეს საკმაოდ კარგი შესაძლებლობა იყო. ვისაუბრეთ საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ძირითად მიმართულებებზე და მიღწეულ შედეგებზე. დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია მოქალაქის პორტალის შესახებ გაკეთებულმა პრეზენტაციამ. ამასთან, უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. მიღებულ ინფორმაციას გამოვიყენებთ სამომავლო პროექტების განხორციელების პროცესში.“ - **პაატა სირბილაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პროექტების მართვის სპეციალისტი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოლდოვის ელექტრონული მმართველობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორს უმასპინძლა

4-5 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოლდოვის მთავრობის ელექტრონული მმართველობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორს ილონა პატარუს უმასპინძლა.

მოლდოველ სტუმარს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა დეტალურად გააცნეს ელექტრონული მმართველობის სფეროში საქართველოში მიმდინარე პროცესები და მიღწეული შედეგები. ასევე სააგენტოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და მისი განხორციელების საშუალებები.

მოლდოველ სტუმარი ასევე ეწვია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს, საჯარო რეესტრს, რუსთავის იუსტიციის სახლს, შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონას და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ცენტრს.

„მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში და პირადად გავცნობოდი თქვენთან მიმდინარე პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან. გულწრფელად მინდა აღვნიშნო, რომ მოხიბლული ვარ აქ მიღებული ინფორმაციით, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ ჩვენს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე.“ - **ილონა სპატარუს**, მოლდოვის მთავრობის ელექტრონული მმართველობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო: საერთაშორისო ვიზიტები



ივნისის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოების წარმომადგენლებმა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მიიღეს მონაწილეობა.

4 ივნისიდან 8 ივნისის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები - ნატა გიდერმიშვილი და ირაკლი ლომიძე იმყოფებოდნენ ესტონეთში, ქ. ტალინში NATO Cooperative Cyber Defense Centre Of Excellence-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე - CyCon – Cyber Conflict. აღნიშნული კონფერენცია უკვე მეოთხე წელია ტარდება და წარმოდგენს კიბერ უსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ფართომასშტაბიან ღონისძიებას საერთაშორისო დონეზე. კონფერენციაზე განიხილებოდა კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები - კიბერ

უსაფრთხოების კლასიფიკაცია საომარი მოქმედებების დროს, კიბერ შეტევების რეგულირების საერთაშორისო კონვენცია და სხვა (გაგრძელება გვ. 6).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5)

ივნისის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და აპოლიტიკის სამმართველოს თაბანშრომლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთში, ქ. პრალაში US NAVY-ის მიერ ორგანიზებულ ვორქშოპში, რომელიც ინფორმაციული უსაფრთხოების თემას ეხებოდა. ვორქშოპს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხების ცნობილი ექსპერტები ესწრებოდნენ.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ღონისძიებაზე გააკეთეს პრეზენტაცია საქართველოში კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ, წარმოადგინეს სააგენტოს მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მხრივ გაწეული სამუშაოების მნიშვნელოვანი ასპექტები და მიმოიხილეს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გამოვლენილი კიბერ შეტევების სპეციფიკა.

ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლებმა ივნისის თვეში ასევე მონაწილეობა მიიღეს ესტონეთში, ქ. ტალინში გამართულ კონფერენციაში - Cyber Security Symposium 2012.

კონფერენციაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაცია სახელწოდებით - „შეტევა ქართულ სახელმწიფო IT რესურსებზე“. პრეზენტაციამ განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებისგან.

„ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სააგენტოს წარმომადგენლებს რეგულარულად იწვევენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოპებზე, სადაც საშუალება გვაქვს გავაცნოთ ჩვენს პარტნიორებს ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოების შედეგები, დავამყაროთ ახალი კონტაქტები და გავიზიაროთ უხვო ქვეყნების გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენს ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.